უნარი: ტექსტის წაკითხვა

- წაიკითხეთ ლექსი.
- გაინაწილეთ ტექსტი წყვილში.
- წაიკითხეთ ლექსი როლებში. შემდეგ გაცვალეთ როლები.

ამ დილას უფროს ძამიკოს
ეხვეწებოდა თამარი:
– თუ ჩემი ძმა ხარ, ალეკო,
მათხოვე შენი ფანქარი!
– მერედა, რატომ გათხოვო,
შენს ფანქარს ვითომ რა უშავს?
– რამდენი სიტყვაც დავწერე,
სულ შეცდომები დაუშვა.

*(შოთა ამირანაშვილი)*



უნარები: სიტყვების წაკითხვა, წერა

**გაბმით დაწერილ ტექსტში დამალულია სიტყვები. მოძებნე სიტყვები და ამოიწერე რვეულში.**

აბდკიაჰფგყწცბნსჯდედაფჰუყაჰსვბხეკჯნდეწ

თითიქწეუფტოთხაერჰნკბნხცმნგოგონახცისატყე

ლაზბაბგეჩანთარხცმზედლოსდედაენაოხნფცბ

ფეუისზლრვეულიხკფდჰსბნზკკნიანგისოპოდმ

ხლომიჰნსჯუეიცბნდჯალმთალინდეჯცივერთიმ

ჰდგცმვოენცმმგელისდცბჯკბვჯკსსნხზმწიგნილ

კჰბნ

უნარები: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, სიტყვების წაკითხვა, წერა

## შეაერთე მარცვლები. გამოთქვი და დაწერე მიღებული სიტყვები.

| სპი | ლო |
| --- | --- |

| მა | მა | ლი |
| --- | --- | --- |

| ზა | რი |
| --- | --- |

| ზებ | რა |
| --- | --- |

| შუქ | ნი | შა | ნი |
| --- | --- | --- | --- |

| ლო | კო | კი | ნა |
| --- | --- | --- | --- |

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

## სიტყვების გროვაში მოძებნე ორასოიანი სიტყვები. ამოწერე და დახატე.

წიგნი დედა კუ

მამა ენა

სოკო ია ბიჭი

ხე ხელი გზა

უნარები: ანბანი, სიტყვების წაკითხვა, წერა

- მაიმუნმა ასოები და სიტყვები კიბეზე დაალაგა.
- დააკვირდი, რომელი ასო აქვთ საერთო ამ სიტყვებს?
- მოიფიქრე ამავე ასოზე დაწყებული კიდევ სამი სიტყვა და ჩაწერე რვეულში.

| | |
|---|---|
| თ | |
| თ | ათი |
| თ | არო |
| თ | ონე |



უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

რომელი ხილია მკვახე? ამოიწერე რვეულში.

# მკვახე



მწიფე



მკვახე



მკვახე

უნარები: კითხვა, ლექსიკური მარაგი, გრამატიკა, წერა

- დახაზე ნიმუშის მსგავსი სქემა.
- მოძებნე ტექსტში სულიერის აღმნიშვნელი ხუთი სიტყვა და უსულოს აღმნიშვნელი ხუთი სიტყვა.
- ამოწერე ეს სიტყვები სქემაში.



| სულიერი (ვინ?) | უსულო (რა?) |
| --- | --- |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

უნარი: წერა

- წარმოიდგინე, რომ დაგეკარგა ლეკვი.
- რა განცდა გექნებოდა და როგორ მოიქცეოდი ამ შემთხვევაში?
- შეადგინე განცხადების ტექსტი.



უნარები: ფონოლოგიური უნარები, კითხვა, წერა

გოგონას ფურცელზე საღებავი დაეღვარა და ზოგი ასო აღარ იკითხება. დაეხმარე გოგონას წინადადების წაკითხვაში. შემდეგ გადაწერე ეს წინადადება.

ბები_მ გოგ_ნას წით_ლი ქ_დი მოუქსოვ_.



უნარები: ანბანი, სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი

## გამოიცანი, რა წერია:


თხე


ნძული


რდღელი


ნძი

სიტყვები გადაწერე რვეულში.

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

## გამოიცანი, რა წერია:

კომ 

ხორ 

ალუ 

ბორ 

 ში

იღ 

სიტყვები გადაწერე რვეულში.

უნარები: ანბანი, ფონოლოგიური უნარები

- დააკვირდი ნახატს.
- წარმოთქვი სიტყვა.
- დაყავი ბგერებად.
- რვეულში გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი ბგერაც გესმის.







უნარები: ანბანი, ლექსიკური მარაგი, წერა

## ტექსტში მოძებნე და ამოწერე თითო-თითო სიტყვა, რომლებშიც ხმოვნებიდან არის

- ერთი „**ო**“
- ორი „**ო**“
- ერთი „**ი**“
- ორი „**ი**“
- ერთი „**უ**“
- ორი „**უ**“



უნარები: ანბანი, ლექსიკური მარაგი, წერა

## გამოიცანი გამოტოვებული ასოები და გადაწერე წინადადებები:

სპილოს დიდი ხორთუმი აქვს.

ძაღლი __ვალს ღრღნის.

კაცი __ეშას ჩეხავს.

ახალი __ელი მოვიდა!

ფუტკარი ბევრს __რომობს.

__ერო გარეული ფრინველია.



უნარები: ანბანი, ფონოლოგიური უნარ-ჩვევები

- რა ფერის ბუშტებზე წერია ერთმარცვლიანი სიტყვა?
- რა ფერის ბუშტზე წერია ყველაზე გრძელი სიტყვა?
- რა ფერის ბუშტზე წერია ის სიტყვა, რომელშიც ყველაზე მეტი თანხმოვანია?



უნარები: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება

- **წაიკითხე მოთხრობა.**
- **დახატე ის, რაც ტექსტშია აღწერილი.**



ღამეა. ცაზე სავსე მთვარეა. თითქმის ყველამ დაიძინა. სძინავთ იას, ბაიას, ბელურას. ბუს არ სძინავს. ის მთვარეს ულიმის. არც ღამურას სძინავს. ისიც მთვარეს უყურებს. მთვარე დიდია, თეთრი და ლამაზი.

უნარები: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება

- **წაიკითხეთ ტექსტი.**
- **გაინაწილეთ როლები.**
- **ივარჯიშეთ კითხვაში და ბოლოს წაიკითხეთ ტექსტი მხატვრულად.**

ბავშვები სახლს აშენებენ. ეზოში ძია ანდრია შემოდის. ის ბავშვებს ეკითხება:

– აქ რას აკეთებთ?



– სახლს ვაშენებთ.

– სახლს აშენებთ? როგორ აშენებთ სახლს? – იღიმის ძია ანდრია.

– აი, მე მოვიტანე პატარა ხერხი, – ამბობს ნიკა.

– მე ჩაქუჩი მოვიტანე, – ამბობს ნუცა.

– მე – ლურსმნები, – ამბობს გიორგი.

– მე წითელი ფიცრები მოვიტანე, – ამბობს თეკლა.

ბავშვები შრომობენ. ძია ანდრია ეხმარება. მალე აზოში პატარა სახლი აშენდება.

უნარები: ტექსტის წაკითხვა, წერა

- მოძებნე ტექსტში სამმარცვლიანი სიტყვები და შემოხაზე.
- შეარჩიე მათგან ორი სიტყვა.
- ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინე თითო წინადადება და დაწერე.



უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი

სიტყვების გროვაში მოძებნე სიტყვა ვარსკვლავი. ამ სიტყვის გამოყენებით შეადგინე წინადადება და ჩაწერე რვეულში.



ვიოლინო

ვარდი

ვეფხვი

ვაზი

ვულკანი

ველოსიპედი

ვარსკვლავი

ვირი

დააკვირდი, რა აქვს ამ სიტყვებს საერთო?

უნარები: ლექსიკური მარაგი, წერა

## მოცემული ნახატების მიხედვით შეადგინე წინადადებები და ჩაწერე რვეულში:

1)



2)



3)



უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

- **დააშორე გადაბმულად დაწერილი სიტყვები.**
- **გადაწერე წინადადებები რვეულში.**

**ნიმუში:** **ესლამაზიბურთია. → ეს ლამაზი ბურთია.**

ფისოსფუმფულაკუდიაქვს.

კატოდატატოტყუპებიარიან.

ერთქუჩაზებაბუაუჩაცხოვრობდა.

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

**რომელ ღრუბელში წერია ყველაზე მეტი სიტყვა: დიდში, საშუალოში თუ პატარაში? ყველაზე ცოტა?**

კუმზეია

ვარდივაზი

ცახეგზაბუ

რვეულში ამოწერე ის სიტყვები, რომლებიც წერია საშუალო ღრუბელში.

უნარები: ანბანი, წერა

ხეზე ეკიდა ასოები. უცებ ქარი ამოვარდა.
რომელი ასოები ჩამოყარა ქარმა?
რომელი ასოები დარჩა ხეზე?

რვეულში ჩაწერე ხეზე დარჩენილი ასოებზე დაწყებული სიტყვები.




ც ტ ზ უ რ მ ი დ ვ ძ ქ პ

უნარები: ანბანი, სიტყვების წაკითხვა, წერა

## რამდენი ასოსგან შედგება ყველაზე დიდი სიტყვა? რამდენი ასოსგან შედგება ყველაზე პატარა სიტყვა?

| | | |
|---|---|---|
| ღრუბელი | ცა | ქარი |
| წვიმა | ბალახი | ციყვი |

ყველაზე დიდი სიტყვის გამოყენებით შეადგინე წინადადება და ჩაწერე რვეულში.

უნარები: გრამატიკა, წერა

## გადაწერე ტექსტი და დასვი გამოტოვებული სასვენი ნიშნები:

– ეზოში არ ჩამოხვალ
– არა, არ მცალია
– ჩვენი გუნდი თამაშობს
– აბა, მოვდივარ



მოიფიქრე და დაწერე შინაარსით განსხვავებული ოთხი სხვადასხვა წინადადება: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი.

უნარები: გრამატიკა, წერა

მოძებნე ტექსტში დიალოგი. გადმოწერე და შეცვალე შენებურად.



უნარები: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, წერა

- გაიხსენე მოთხრობის პერსონაჟები (შეგიძლია გამოიყენო ტექსტი).
- ჩამოწერე პერსონაჟების სახელები.
- თითოეულს მიუწერე, რას შვრება.



უნარები: გაგება-გააზრება, წერა

- მეგობარს მისწერე წერილი იმ წიგნის შესახებ, რომელიც ბოლოს წაიკითხე.
- ურჩიე, რატომ უნდა წაიკითხოს ეს წიგნი.



უნარები: ანბანი, წერა

ხიდან სიტყვები ჩამოცვივდა. ამოიწერე ის სიტყვები, რომლებიც ზღარბებს დაეცათ ზურგზე. შემდეგ ამოწერე ის სიტყვები, რომლებიც მიწაზე დაცვივდა.



უნარები: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, კითხვა, წერა

გოგონას წიგნის ფურცელზე ლურჯი საღებავი დაელვარა და ზოგი ასო აღარ ჩანს.
დაეხმარე გოგონას წინადადებების წაკითხვაში.
შემდეგ გადაწერე ეს წინადადებები რვეულში.

მ ი კ არა გო აა.
ის სკოლ და ის. მარის
ძალ ნ ყვარს კითხვა და
შ ადის ნაყ ნი.



უნარები: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, წერა

- მოძებნე ტექსტში, როგორ არის აღწერილი პერსონაჟი და დაახასიათე საპირისპიროდ.
- დახასიათება ჩაწერე რვეულში.



უნარი: წერა

- მისალოცი ბარათით მიულოცე დედას 3 მარტი.
- ბარათის შედგენისას არ დაგავიწყდეს საჭირო წესების დაცვა.
- ტექსტის წერისას გამოიყენე სიტყვები:

  ჩემო საყვარელო, გილოცავ, გისურვებ...

- ბარათი შეგიძლია გააფორმო ლამაზი ნახატებით, ფერადი ფურცლებით, სტიკერებით.



უნარები: ლექსიკური მარაგი, გაგება-გააზრება, წერა

- გადაიხაზე ცხრილი.
- შეავსე ცარიელი უჯრები:

| გუშინ | დღეს | ხვალ |
|---|---|---|
| სამშაბათი | | |
| | შაბათი | |
| | | ოთხშაბათი |

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

- მოცემულ სიტყვებს შეურჩიე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.
- სიტყვების წყვილები ჩაწერე რვეულში.

მწარე →

იწყება →

მალე →

უნარები: გრამატიკა, წერა

- წინადადებებში ხაზების ნაცვლად ჩასვი შესაბამისი სიტყვები.
- მეორე და მეხუთე წინადადებები გადაწერე რვეულში.

| | | |
|---|---|---|
| მე | ჩვენ | შენ |
| ის | თქვენ | ისინი |

1. ______ ვკითხულობ წიგნს.
2. ______ კითხულობ წიგნს.
3. ______ კითხულობს წიგნს.
4. ______ ვკითხულობთ წიგნს.
5. ______ კითხულობთ წიგნს.
6. ______ კითხულობენ წიგნს.

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

## ხაზების ნაცვლად ჩასვი შესაბამისი სიტყვები. მიღებული გამოთქმები გადაწერე რვეულში.

მშრომელი | ნელი | ერთგული | მხდალი

დაბნეული | ცბიერი | მშიერი | ჯიუტი

ძაღლივით ____

ბატივით ____

ფუტკარივით ____

კურდღელივით ____

კუსავით ____

მელასავით ____

მგელივით ____

თხასავით ____

უნარები: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ლექსიკური მარაგი, წერა

## დააკვირდი, ჩამოთვლილთაგან რომელია მარცვალი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბი | მშვ | ი | გო | ნტ | |
| ვი | ცხვ | ლი | ყვა | ა | ფრ |

**გადაიწერე მხოლოდ მარცვლები.**

მათი გამოყენებით შეადგინე სიტყვები. შეგიძლია ამ მარცვლებთან ერთად გამოიყენო სხვა მარცვლებიც.

**მაგალითად:** ბი-ჭი

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

- ამოიცანი საიდუმლო სიტყვები.
- შეადგინე ორი სამსიტყვიანი წინადადება.
- მიღებული წინადადებები გადაწერე რვეულში.



ეზოში | ყიყინებდა | ?



? | ყეფდა | გუბეში

უნარები: ანბანი, სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

# გამოიცანი, რა წერია:

 ში

 უნახავი

 რ  მალი

სიტყვები გადაწერე რვეულში.

უნარები: სიტყვების წაკითხვა, გაგება-გააზრება, წერა

თავიდან იყო ორი სამსიტყვიანი წინადადება. მერე სიტყვები ერთმანეთში აირია. აღადგინე წინადადებები და გადაწერე რვეულში.

ბავშვებმა

დახატა

ანამ

ზღვა

ენძელები

მორწყეს

გამოიცანი ორი საიდუმლო თანხმოვანი და წაიკითხე ყველა სიტყვა:

| | | |
|---|---|---|
| მი | — — | ორი |
| ცე | — — | ლი |
| გაზა | — — | ული |
| ფუ | — — | არი |
| პი | — — | ვინი |
| ჩა | — — | ა |
| თო | — — | ი |
| სი | — — | არი |

სიტყვები გადაწერე რვეულში.

უნარები: ანბანი, ლექსიკური მარაგი, წერა

დააკვირდი ნიმუშს. უჯრებში ჩასვი პირველი ასო ისე, რომ მიიღო ახალი სიტყვა. მიღებული სიტყვები გადაწერე რვეულში.

ნიმუში: კ არი

| | | | |
|---|---|---|---|
| ☐ არი | ☐ არი | ☐ არი | ☐ არი |
| ☐ არი | ☐ არი | ☐ არი | ☐ არი |

# პირველი თანხმოვნის შეცვლით მიიღე ახალი სიტყვები:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პ | ური | | ური | | ური |
| ქ | ოხი | | ოხი | | ოხი |
| ხ | ელი | | ელი | | ელი |
| ც | ომი | | ომი | | ომი |
| ხ | არი | | არი | | არი |

მიღებული სიტყვები ჩაწერე რვეულში.

უნარები: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ლექსიკური მარაგი, წერა

**ასოები ისე გადაანაცვლე, რომ ახალი სიტყვები მიიღო.**

**მიღებული სიტყვები ჩაწერე რვეულში.**

ნიმუში: **ასი – სია**

მთა – ______ ზარი – ______

ქიგო – ______ ვიცი – ______

წამი – ______ ნამი – ______

უნარები: ტექსტის წაკითხვა, წერა

- დათვალე რამდენი აბზაცისგან შედგება ტექსტი.
- ამოწერე პირველი აბზაცის მეორე წინადადება.
- მოძებნე ტექსტში კითხვითი წინადადება და გადმოწერე რვეულში.



უნარები: სიტყვების წაკითხვა, გრამატიკა, წერა

- წინადადებებში ხაზების ნაცვლად ჩასვი შესაბამისი სიტყვები.
- პირველი და მეშვიდე წინადადებები გადაწერე რვეულში.

1. მე ____________ წიგნი.
2. ნათიას ____________ ფანჯარი.
3. შენ ____________ ბურთი.
4. ბებოს ____________ გოჭები.
5. თქვენ ____________ ცხვრები.
6. დედას ____________ მძივები.
7. მე ____________ კატა.
8. გიასა და ნიკას ____________ ძაღლი.

| | |
|---|---|
| მაქვს | გაქვს |
| ჰყავთ | აქვს |
| გყავთ | ჰყავს |
| აქვს | მყავს |

უნარები: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება

- **წაიკითხე მოთხრობა.**
- **დახატე ის, რაც ტექსტშია აღწერილი.**



გათენდა. მზე ამოვიდა. მინდორში უამრავი ფერადი ყვავილი გაშლილიყო. ჭიამაიებიც გამოჩნდნენ და გვირილებში გაიფანტნენ. ჭიამაიების შემდეგ მწვანე მინდორში ფერადი პეპლებიც გამოჩნდნენ.

უნარები: ანბანი, წერა

დააკვირდი ნახატებს. მოძებნე სიტყვები, რომლებიც იწყება „მ“ ასოზე. შემდეგ ეს სიტყვები ჩაწერე რვეულში.



უნარები: ტექსტის წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

# კროსვორდი რვეულში გადმოხაზე და შეავსე.






1. ერთზე მეტი, სამზე ნაკლები.
2. ირმის თავსამკაული.
3. ღამის საპირისპირო სიტყვა.
4. ცხრათვალა მნათობი.
5. ცეცხლის ენა.

რა სიტყვა მიიღე **მწვანე** სვეტში?

უნარები: ტექსტის წაკითხვა, გრამატიკა, წერა

- **გადმოწერე წინადადებები.**
- **დასვი სასვენი ნიშნები.**

ნიკა ზის და წერს.

– რას წერს

– ბარათს

– ვის სწერს ბარათს

– ბებოს



უნარები: ანბანი, სიტყვების წაკითხვა, წერა

- დააკვირდი ღრუბლებს.
- მოძებნე ერთი სიტყვა, რომელიც ყველა სიტყვაშია დამალული.
- ამ სიტყვის გამოყენებით შეადგინე და დაწერე წინადადებები.

მეტყევე

ცისარტყელა

ბარტყები

ტყემალი

სარტყელი

- დააკვირდი, რომელ ასოს რომელი ციფრი შეესაბამება.
- ნიმუშის მიხედვით გაშიფრე სიტყვები და ჩაწერე რვეულში.




**ნიმუში:** 3 7 5 4 – ზარი

5 7 6 4 –

7 3 5 4 –

6 4 6 4 –

6 7 5 4 –

უნარები: გრამატიკა, წერა

- გამოიყენე წრეში ჩასმული ასოები და დაასრულე სიტყვები.
- გადმოწერე წინადადებები.

ს ო ა

ნუცა წერ ___ .

ნუცამ დაწერ ___ .

ნუცა დაწერ ___ .

ნუცამ რვეული დად ___ .



უნარები: ანბანი, ლექსიკური მარაგი, წერა

- ამ სიტყვის ასოების გამოყენებით ააწყვე ახალი სიტყვები.
- შეგიძლია ყველა ასო არ გამოიყენო.
- ასოები გამოიყენე იმდენჯერ, რამდენჯერაც არის მთავარ სიტყვაში.
- მიღებული სიტყვები ჩაწერე რვეულში.

## ლ ი მ ო ნ ა თ ი

მაგალითი: **ია, ნამი.**

უნარი: ანბანი

- **რამდენი ასოსგან შედგება**
- **ბურთზე** დაწერილი სიტყვა?
- **ყვითელ ყვავილზე** დაწერილი სიტყვა?
- **ფოთოლზე** დაწერილი სიტყვა?
- **გირჩზე** დაწერილი სიტყვა?
- **ვარდისფერ ყვავილზე** დაწერილი სიტყვა?











უნარები: სიტყვების წაკითხვა, გაგება-გააზრება, წერა

## რომელი წერილი დაწერა ანამ? ვის მისწერეს ბავშვებმა წერილი?







შენც მისწერე წერილი თოვლის პაპას.



## მოძებნე ნახატის შესაბამისი სიტყვა.



პინგვინი

ქოლგა





ჟირაფი



ჯამბაზი

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

გადაიწერე წინადადებები და ჩასვი გამოტოვებული სიტყვები.

| წვრილი | თხელი | მსხვილი | სქელი |
|---|---|---|---|

ა) ატამს კურკა ______ აქვს, კანი – ______ .

ბ) კამეჩს ______ რქები და ______ ტყავი აქვს.

გ) იას ______ ღერო აქვს და ______ ფურცელი.

უნარები: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ლექსიკური მარაგი, წერა

## ტექსტში მოძებნე და ამოწერე თითო სიტყვა, რომელიც არის

- ერთმარცვლიანი
- ორმარცვლიანი
- სამმარცვლიანი
- ოთხმარცვლიანი
- ოთხზე მეტმარცვლიანი



უნარები: ტექსტის წაკითხვა, ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ლექსიკური მარაგი

## ხმამაღლა და სწრაფად წაიკითხე სიტყვები:

ჯოხი-თოხი-ქოხი-ნოხი

შინდის-წინდის-ბინდის

ბარი-ფარი-კარი-ხარი-დარი

პური-ჭური-ყური-შური-მური

ხე-ძე-ხელი-ძელი-სახელი-კახელი



უნარები: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანბანი, სიტყვების წაკითხვა

ყველა მარცვალს დაუმატე – ვიდა.

რა სიტყვები მიიღე? შეეცადე ხმამაღლა წარმოთქმას.

ა ↓ ☐

მო ↓ ☐

მი ↓ ☐

ჩა ↓ ☐

ჩამო ↓ ☐

წა ↓ ☐

წამო ↓ ☐

გა ↓ ☐

გამო ↓ ☐

უნარები: ანბანი, ლექსიკური მარაგი, წერა

დაასახელე და რვეულში ჩაწერე სიტყვები, რომლებიც იწყება მითითებულ ასოებზე.

| | | |
|---|---|---|
| ნ | ვ | შ |
| ი | მ | კ |
| ძ | წ | ხ |

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი

## რომელ ღრუბელში წერია ყველაზე მეტი სიტყვა: პირველში, მეორეში თუ მესამეში?

1 იახემთა

2 ჭაბუმზეკუ

3 კოდალაციყვი

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ლექსიკური მარაგი, წერა

- რა ფერის ყვავილზე წერია ყველაზე გრძელი სიტყვა?
- რა ფერის ყვავილზე წერია ყველაზე მოკლე სიტყვა?

ღრუბელი

ჰიპოპოტამი

მხატვარი

ძილისპირული

ვეფხვი

ენძელა

ყველაზე მოკლე სიტყვის გამოყენებით შეადგინე წინადადება, ჩაწერე რვეულში.

უნარი: ანბანი

## წვიმის რამდენ წვეთში ჩანს ა?
## რამდენ წვეთში ჩანს უ?

1 ა

3 უ

5 ო

7 ა

2 ე

4 ი

6 ა

8 უ

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი

## რა ფერის ბალიშებია რბილი? რა ფერის ბალიშებია პატარა? როგორია პირველი ბალიში? როგორია ქვედა მარჯვენა ბალიში?



უნარები: სიტყვების წაკითხვა, გაგება-გააზრება

**ნიკამ წერილი მისწერა დედას, მამასა და დაიკოს. რომელი წერილი მისწერა მამას? დედას? დაიკოს?**












უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი

საგნებს სიტყვები არასწორად აწერია. წაიკითხე სიტყვები და თითი დაადე იმ საგანს, რომელზეც სწორად უნდა.


გოგრა


ენძელა


ფისო


ვარსკვლავი


მატარებელი


მარწყვი

უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი

რომელ ბუდეში ცხოვრობს ჩიტი? მწვანე ბუდეში თუ ყვითელ ბუდეში? რომელი ბუდეა ცარიელი? რა ფერისაა ყველაზე დიდი ბუდე?



უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

## რომელი ხილია მწიფე? ამოიწერე რვეულში.

# მწიფე



ანანასი



ბროწეული



კივი



ბალი

უნარები: ტექსტის წაკითხვა, წერა

## ყურადღებით წაიკითხე ინსტრუქცია და შექმენი ტექსტი:



1. პირველ ხაზზე დაწერე ნახატზე გამოსახული მწერის სახელი.
2. მეორე ხაზზე დაწერე ორი სიტყვა, რომლებიც გვიჩვენებს, როგორია ეს მწერი.
3. მესამე ხაზზე დაწერე სამი სიტყვა, რომლებიც აღწერს, რას შვრება ის.
4. მეოთხე ხაზზე ოთხსიტყვიანი წინადადებით გადმოეცი, შენ რას ფიქრობ მასზე.

უნარი: წერა

- მოიფიქრე, რას აჩუქებდი შენი ოჯახის წევრებს.
- აღწერე შენი საჩუქარი.
- დაასაბუთე, რატომ გაახარებდა მათ ამგვარი საჩუქარი.



უნარები: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ლექსიკური მარაგი

დაეხმარე მამლაყინწას, ისე აკენკოს ეს სიმინდის მარცვლები, რომ ოთხი მწერის სახელი გამოვიდეს:

ბუ

ხო

ზი

ლი

ჭრი

ნა

კა

ჭო

ჭი

ა



უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი

- რომელ ყუთშია ბურთი?
- რომელ ყუთშია თოჯინა?
- რომელ ყუთშია წიგნი?



უნარები: ფონოლოგიური უნარები, ლექსიკური მარაგი, წერა

- გამოიცანი, რა წერია.
- სიტყვები გადაწერე რვეულში.



ობი

რა





მა

ფი



უნარები: ანბანი, სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი, წერა

## გამოიცანი, რა წერია:



ზი



დე



მ



ლი



ჩქი

სიტყვები ჩაწერე რვეულში.

უნარი: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები

- დააკვირდი ნახატებს.
- წარმოთქვი სიტყვები.
- დაყავი მარცვლებად.
- რვეულში გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი მარცვალიც გესმის.










უნარები: სიტყვების წაკითხვა, ლექსიკური მარაგი

## სიტყვათა ჩამონათვალს შეურჩიე საერთო სახელი:

ავეჯი | ყვავილი | შენობა | ტრანსპორტი | ჭურჭელი

1. თეფში, ფინჯანი, ლამბაქი, ჭიქა, ლანგარი – ______
2. მაგიდა, სავარძელი, კარადა, თარო, საწოლი – ______
3. სახლი, სკოლა, ეკლესია, ოდა, კორპუსი – ______
4. მანქანა, ავტობუსი, მატარებელი, თვითმფრინავი, გემი – ______
5. გვირილა, ენძელა, ვარდი, ია, მიხაკი – ______

უნარები: ანბანი, ლექსიკური მარაგი, წერა

## გამოიცანი გამოტოვებული ასოები და სიტყვები გადაიწერე რვეულში:

ბეჰემო**თ**ი, პარასკე_ი, თვით_ფრინავი, ზო_პარკი,

კალა_ბურთი, ორშა_ათი, ვა_კაცი, _რჩხილი,

კარ_ოფილი, სე_ტემბერი, ო_ტომბერი.



უნარი: ანბანი

გოგონას წყალში ჩაუცვივდა ანბანის ასოები. ასოები თევზებმა გადაყლაპეს. რომელი ასოები გადაყლაპა წითელმა თევზმა? მწვანემ? ყვითელმა? მოიფიქრე ამ ასოებზე დაწყებული სიტყვები.

